

უსაფრთხოების სექტორზე
ზედამხედველი
საპარლამენტო კომიტეტები -
მოდელები საზღვარგარეთ



ნინო კაპანაძის ბლოგი

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველი საპარლამენტო კომიტეტები - მოდელები საზღვარგარეთ

ზედამხედველობის ორგანოებს, რომლებიც უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ან პარლამენტთან დაკავშირებულ კონტროლს ახორციელებენ, აჯგუფებენ 3 კატეგორიად:

- (1) ზოგადი კომპეტენციის საპარლამენტო კომიტეტები;
- (2) სპეციალიზებული საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტები;
- (3) სპეციალიზებული არასაპარლამენტო ზედამხედველობის ორგანოები.¹

ეს მოდელები ერთმანეთს არ გამოირიცხავენ. შესაძლებელია, ერთი ქვეყნის ინსტიტუციურ სისტემაში რამდენიმე ერთდროულად არსებობდეს და ისინი ფუნქციურად ავსებდნენ ერთმანეთის საქმიანობას.

სპეციალიზებული საპარლამენტო კომიტეტებისთვის კონტროლის უფლების მინიჭება განიხილება, როგორც ყველაზე დემოკრატიული მიდგომა, რადგან ზედამხედველობას

ანარმობენ მოსახლეობის მიერ უშუალოდ არჩეული წარმომადგენლები.² რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ჩართულობით კონტროლის განხორციელება უზრუნველყოფს, რომ უსაფრთხოების სააგენტოები მოემსახურებიან მთლიანი საზოგადოების ინტერესებს და არა - არსებულ ხელისუფლებას.³ გარდა ამისა, პარლამენტარებს შესაძლებლობა აქვთ, გავლენა მოახდინონ ზედამხედველობის პროცესებზე, მათ შორის, კომიტეტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე, რომელთა საფუძველზეც, შემდგომ აღმასრულებელი და სადაზვერვო სააგენტოები იმოქმედებენ.⁴

ვენეციის კომისია კარგ პრაქტიკად მიიჩნევს ერთი სპეციალიზებული კომიტეტის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების სფეროში მოქმედ ყველა სააგენტოსა და მათ ფუნქციებზე, რაც მას დაეხმარება, უზრუნველყოს **გადამხედველობა** და თავიდან აიცილოს დუბლირება ორი ან მეტი კომიტეტის მანდატებს შორის.⁵ გადამხედველობა შეიძლება ფრაგმენტული გახდეს, თუ ძალიან ბევრი კომიტეტი იქნება ჩართული ერთ მიმართულებაში.⁶ თუმცა, მეორე მხრივ, რამდენიმე კომიტეტის არსებობა, რომელთაგან თითოეული ფოკუსირებული იქნება უსაფრთხოების სექტორის ერთ სააგენტოზე, საშუალებას მისცემს მათ, თავიანთი დრო და რესურსი მიმართონ საკითხთა უფრო მცირე სპექტრზე. ეს ხელს შეუწყობს მათ სპეციალიზაციას კონკრეტული სააგენტოს საქმიანობის მახასიათებლებთან დაკავშირებით.⁷

წარმომადგენლობითი ხასიათი და მრავალპარტიული ჩართულობა წონადი არგუმენტებია საპარლამენტო სპეციალური კომიტეტების შექმნისა და არსებობისთვის. დეპუტატების მიერ სადაზვერვო სააგენტოების შესახებ ცოდნის ნაკლებობა შეიძლება დაკომპენსირდეს ამ კომიტეტებისთვის გამოცდილი, სათანადო ექსპერტიზის მქონე თანამშრომლებით ან აპარატით.⁸

საპარლამენტო კომიტეტები უსაფრთხოების სექტორზე გადამხედველობის მანდატით

ზოგიერთ ქვეყანაში კომიტეტები, რომლებიც გადამხედველობენ რამდენიმე უწყების საქმიანობას, იქმნება მხოლოდ ორპალატიანი პარლამენტის ერთ-ერთ პალატაში, მაგალითად, გერმანიის ბუნდესტაგის საპარლამენტო კონტროლის კომისია⁹ (რომელიც არის არა კომიტეტი, არამედ ბუნდესტაგის დამხმარე ორგანო - შექმნილი კონტროლისთვის. ამასთანავე, ის არის პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული კონტროლის ორგანო¹⁰) და ნიდერლანდების პარლამენტის ქვედა პალატის დაზვერვისა და უსაფრთხოების სამსახურების კომიტეტი.¹¹ აშშ-ის კონგრესში სენატის დაზვერვის კომიტეტი არსებობს, ხოლო წარმომადგენელთა პალატაში - სადაზვერვო საკითხების მუდმივმოქმედი კომიტეტი.¹² ზოგიერთმა პარლამენტმა შეიძლება შექმნას რამდენიმე

საპარლამენტო კომიტეტი თითოეულ უწყებაზე დაფუძნებული მანდატით, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ექსკლუზიურად არიან პასუხისმგებელნი კონკრეტული სააგენტოს ზედამხედველობაზე.¹³ ამ მიდგომას ირჩევენ ჩეხეთში,¹⁴ რუმინეთსა¹⁵ და სლოვაკეთში.¹⁶ ზოგიერთ ორპალატიან პარლამენტში ასეთი კომიტეტების შემადგენლობაში ორივე პალატის წევრები შედიან და მათ ერთობლივი კომიტეტის სტატუსი აქვთ, როგორებიცაა, მაგალითად, იტალიის პარლამენტის ზედამხედველობის კომიტეტი (COPASIR)¹⁸ და ავსტრალიის პარლამენტის დაზვერვისა და უსაფრთხოების მუდმივი ერთობლივი კომიტეტი.¹⁷

რაც შეეხება კომიტეტების სახელწოდებას, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი დასახელება ზოგადია და ყურადღება გამახვილებულია, მაგალითად, უსაფრთხოების საკითხებზე, დაზვერვაზე, თავდაცვაზე, წესრიგსა ან შიდა თუ გარე უსაფრთხოებაზე. სპეციალიზებული საპარლამენტო კომიტეტების წევრთა რაოდენობა, საშუალოდ, 5-იდან 24-მდე მერყეობს.

სპეციალიზებული საპარლამენტო კომიტეტების დაკომპლექტება და პარტიული ბალანსი

პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება ზედამხედველობის ორგანოების წევრების არჩევა, მნიშვნელოვანია, რადგან ეფექტიანი კონტროლისთვის აუცილებელია ისეთი პირების შერჩევა, რომლებსაც აქვთ საჭირო ცოდნა და ინტერესი ამ საკითხებში, ასევე ნება, ჩაერთონ მასში მიუკერძოებლად, იმავდროულად, შეუძლიათ, გამოიჩინონ პატივისცემა და ნდობა უსაფრთხოების სექტორის მიმართ.¹⁹ საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების წევრების ასარჩევად რამდენიმე მეთოდი არსებობს, რომლებიც ხშირად განსხვავდება სხვა საპარლამენტო კომიტეტების წევრთა შერჩევისგან.²⁰

ერთი მიდგომაა პარლამენტში წევრების უბრალო უმრავლესობით არჩევა. ეს მეთოდი ოპტიმალურად მიიჩნევა, რადგან ამ გზით ზედამხედველობის კომიტეტის წევრები სარგებლობენ კოლეგების ფართო მხარდაჭერით.²¹ ასეთია, მაგალითად, გერმანიის ბუნდესტაგის საპარლამენტო კონტროლის კომისია.²² ესპანეთის პარლამენტიც (Cortes Generales) იყენებს მსგავს მიდგომას - პარლამენტის პლენარული სხდომა ირჩევს თითო დეპუტატს 3/5-ის უმრავლესობით თითოეული პარტიიდან, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის მიზნით.²³

ზოგ სახელმწიფოში საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების წევრებს საკანონმდებლო ორგანოში პარტიის ხელმძღვანელობა ირჩევს, მაგალითად, აშშ-ის კონგრესის დაზვერვის კომიტეტებსა²⁴ და უნგრეთის ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტში.²⁵ კიდევ ერთი მიდგომაა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ

ზედამხედველობის კომიტეტების წევრების შერჩევა (საფრანგეთი²⁶ და იტალია²⁷). ვესტმინსტერის სისტემაში კი, მაგალითად, ავსტრალიაში, პრემიერ-მინისტრი ნიშნავს საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების წევრებს ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციის შემდეგ.²⁸

როგორც მთლიანად პარლამენტის, ისე კომიტეტების დონეზე ზედამხედველობას არსებითად აძლიერებს ოპოზიციის წარმომადგენლების როლი და მათი აქტიური ჩართულობა. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო კონტროლი პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის, ფუნქციაა, მისი რეალური გამოყენება ოპოზიციას უფრო შეუძლია, ვიდრე სამთავრობო პარტიას.²⁹ ოპოზიციის წევრებს აქვთ უფრო მეტი სტიმული, რომ პასუხისმგებელნი იყვნენ ამომრჩევლების მიმართ, რადგან, ერთი მხრივ, ეს ბრდის მანსებს მომავალ არჩევნებზე, მეორე მხრივ, აქვთ შესაძლებლობა, გამოხატონ კრიტიკა მთავრობის პოზიციის მიმართ.³⁰ საპარლამენტო სისტემებში, განსაკუთრებით, ოპოზიციური პარტიების წევრების წუხილი არის ინფორმაციაზე არასაკმარისი ხელმისაწვდომობა, რის გამოც, ისინი ცდილობენ, ეს ასიმეტრია საპარლამენტო კონტროლის ინსტრუმენტების გამოყენებით შეამცირონ.³¹ ამ ასპექტების გათვალისწინებით, კონტროლის ეფექტიანობის ერთ-ერთი წინაპირობაა კომიტეტში ოპოზიციის წარმომადგენლობა, ასევე, მისი თავმჯდომარის საკითხი.³² საპარლამენტო ოპოზიციის წევრების ჩართვა ზედამხედველობის კომიტეტებში მიიჩნევა კარგ პრაქტიკად და მმართველი პარტიის მიერ საიდუმლო ინფორმაციის ბოროტად გამოყენებისგან დაცვის საშუალებად.³³

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის სპეციალიზებული კომიტეტების დაკომპლექტების რამდენიმე მოდელი არსებობს, რომლებიც ოპოზიციის განსხვავებულ წარმომადგენლობას ითვალისწინებს:³⁴

- კომიტეტების პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპით დაკომპლექტება (ბულგარეთი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, შვედეთი). ჩეხეთშიც იგივე წესია, თუმცა აქ წევრებს პარლამენტი ირჩევს;
- პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პარტიის მიერ თითო წარმომადგენლის დანიშვნა (ლატვია, დანია);
- უმრავლესობისა და ოპოზიციის თანაბარი რაოდენობა (იტალია);

- ზოგადი მითითება ოპოზიციის გარანტირებულ წარმომადგენლობაზე (პოლონეთის სენატი, უნგრეთი);
- უმრავლესობა ოპოზიციურ პარტიებს ეკუთვნით (სლოვენია).

თითოეული მეთოდის მიზანია, ზედამხედველობის კომიტეტებში მოხვდნენ მხოლოდ ის პარლამენტარები, რომლებიც მიჩნეულნი არიან **ქვეყნის** კანდიდატებად **ქვეყნის** თუმცა, შესაძლებელია, ისინი მმართველი პარტიების მხრიდან მანიპულაციას დაექვემდებარონ - ზედამხედველობისას გამოიჩინონ ლოიალურობა და არ გამოხატონ კრიტიკული პოზიციები უსაფრთხოების სააგენტოების საქმიანობაზე.³⁵

სპეციალური საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე

საპარლამენტო ზედამხედველობის კომიტეტების თავმჯდომარეობასთან მიმართებით, როგორც წესი, იკვეთება სამი მიდგომა. ყველაზე ხშირად კომიტეტს თავმჯდომარეობს პარლამენტის ყველაზე დიდი ან მმართველი პარტიის წევრი. ასეთია, მაგალითად, აშშ-ის კონგრესის დაზვერვის კომიტეტი³⁶ და საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია დაზვერვის საკითხებში.³⁷ ალტერნატიული მიდგომაა ოპოზიციური პარტიის წევრის თავმჯდომარეობა.³⁸ ამ მოთხოვნას ითვალისწინებს ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, იტალიის,³⁹ უნგრეთის,⁴⁰ სლოვაკეთისა⁴¹ და სლოვენიის.⁴² საბერძნეთში კი კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეები და მდივანი აირჩევა ოპოზიციური პარტიიდან.⁴³ ამგვარი პრაქტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ ოპოზიციის თავმჯდომარეობის პირობებში მმართველ პარტიას არ შეუძლია თავისი უმრავლესობის გამოყენება უსაფრთხოების სააგენტოების ზედამხედველობის შესაფერხებლად, თუ, მაგალითად, სურთ, თავიდან აიცილონ მათთვის მიუღებელი საკითხების განხილვა.⁴⁴ კიდევ ერთი მიდგომით, რომელიც გერმანიის ბუნდესტაგის საპარლამენტო კონტროლის კომისიაში გამოიყენება, თუ თავმჯდომარე მმართველი პარტიიდანაა, მაშინ მოადგილე ოპოზიციიდან უნდა იყოს (და პირიქით). მათ თავად ეს ორგანო ირჩევს.⁴⁵ სხვა შემთხვევაში, თავმჯდომარეობა საპარლამენტო უმრავლესობის სასარგებლოდ წყდება.⁴⁶

სპეციალიზებული კომიტეტის თანამშრომლები

როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ზედამხედველობის ორგანოებს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის სჭირდებათ ადეკვატური ფინანსური და ადამიანური რესურსები.⁴⁷ გარდა ამისა, ამ კომიტეტის თანამშრომელთა რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან, ძირითადად, ისინი ახორციელებენ სააგენტოს მუშაობის დეტალურ შემოწმებას. ამიტომ, აუცილებელია, რომ ზედამხედველობის

ორგანოს ჰყავდეს საკუთარი პერსონალი სრული განაკვეთით.⁴⁸ გერმანიის ბუნდესტაგის საპარლამენტო კონტროლის კომისიას ამ მხრივ საინტერესო მექანიზმი აქვს დამკვიდრებული: წევრებს შეუძლიათ, დაასაქმონ საკუთარი პერსონალი კომიტეტში სამუშაოდ, სანამ ეს პირები უსაფრთხოების შემოწმებას გაივლიან და კომიტეტის თანხმობას მიიღებენ.⁴⁹

ამ კომიტეტების თანამშრომელთა რაოდენობა (2011 წლის მდგომარეობით) მერყეობდა 2-იდან 10-მდე.⁵⁰ ქვეყნების მიხედვით, მთლიანი სურათიდან არ იკვეთება თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრის რაიმე კრიტერიუმი (მაგალითად, რაც უფრო ცოტა წევრია კომიტეტში, მით მეტია თანამშრომელი, ან პირიქით - რაც უფრო მეტია წევრი, მით მეტია თანამშრომელი).

საყურადღებოა, რომ ასეთი კომიტეტების თანამშრომელთა სიმცირე ან კომპეტენციის თუ გამოცდილების ნაკლებობა პირდაპირ აისახება კონტროლის ეფექტიანობაზე, ვინაიდან ეს პირები მნიშვნელოვან საინფორმაციო, ანალიტიკურ, იურიდიულ საქმიანობას ეწევიან ამ მიმართულებით. შესაბამისი ცოდნის არარსებობის შემთხვევაში, კომიტეტის წევრები იძულებულნი იქნებიან, დადასტურებულად მიიჩნიონ ის ინფორმაცია, რომელსაც მათ აღმასრულებელი უწყება მიაწვდის. ეს კი შეამცირებს კრიტიკული, სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას.⁵¹

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის, **D[REDACTED]** და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერა კვლევების, ადვოკატირებისა და ინკლუზიური დიალოგის გზით [REDACTED] ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო კაპანაძე

1 Aidan Wills and Mathias Vermeulen, Parliamentary Oversight of Security and Intelligence Agencies in the European Union, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens [REDACTED] Rights and Constitutional Affairs, European Parliament, 2011, 87, ხელმისაწვდომია: <http://tinyurl.com/57fmunk6>; Hans Born, Aidan Wills (eds.), Overseeing Intelligence Services, A Toolkit, DCAF, 2012, 11, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/bdf4dbky>, განახლებულია: 19.07.2024.

2 European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Democracy Oversight of the Security

Services, Strasbourg, 11 June 2007, CDL-AD(2007)016, paras. 227-228, ხელმისაწვდომია: <http://tinyurl.com/2p8dhs4a>, განახლებულია: 19.07.2024; Reg Whitaker and Stuart Farson, Accountability in and for National Security, IRPP Choises, Vol. 15, no. 9, September 2009, 3, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/2pttwy9f>, განახლებულია: 19.07.2024.

3 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 88.

4 Ibid.

5 CDL-AD(2007)016, paras. 153-156.

6 Charlotte Lepri, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in France, Annex A: 205-217. In: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 88.

7 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 88.

8 Ibid, 90.

9 Basic Law Germany, Art. 45d, Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz - PKGrG).

10 Tobias Kumpf, Die Kontrolle der Nachrichtendienste des Bundes. Zur Reform der Kontrolle der Nachrichtendienste und zur Kontrolle der nachrichtendienstlichen Beobachtung von Abgeordneten des Bundestages, Hamburg, 2014, 127.

11 Nick Verhoeven, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in Netherlands, 254-264, in: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი.

12 გიორგი ალავერდაშვილი, უსაფრთხოების სექტორზე კონტროლი ამერიკის კონგრესში, საია, 2023, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/mr4bmvkt>, განახლებულია: 19.07.2024.

13 პასუხები კითხვარზე ამ პარლამენტებიდან. In: Aidan WILLS, Mathias VERMEULEN, Parliamentary Oversight of Security and Intelligence Agencies in the European Union, 2011, p. 88.

- 14 Bodies of the Chamber of Deputies, ჩეხეთის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი:
<https://tinyurl.com/yf7s6rfu>, განახლებულია: 19.07.2024.
- 15 How Parliament of Romania works, რუმინეთის დეპუტატთა პალატის ვებგვერდი:
<https://www.cdep.ro/pls/dic/site.page?id=116>, განახლებულია: 19.07.2024.
- 16 Committees of the NR SR, სლოვენიის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს ვებგვერდი:
<https://www.nrsr.sk/web/Default.aspx?sid=vybory/zoznam>, განახლებულია: 19.07.2024.
- 17 Federico Fabbrini & Tommaso F. Giupponi, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in Italy, 242-252, in: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 88.
- 18 Nicola McGarrrity, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in Australia, 302-317; in: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 88.
- 19 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 99.
- 20 Ibid.
- 21 Ibid, 98.
- 22 Gesetz über die parlamentarische Kontrolle nachrichtendienstlicher Tätigkeit des Bundes (Kontrollgremiumgesetz), §2.
- 23 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 99.
- 24 Kate Martin, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in United States, 332-349, In: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი.
- 25 Gábor Földváy, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in Hungary, 230-240. In: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 99.
- 26 Law No. 2007-1443 of October 9, 2007, ხელმისაწვდომია:
<https://tinyurl.com/4n7csm23>, განახლებულია: 19.07.2024.
- 27 Italy, Law 14/2007 Article 29(3)(c), ხელმისაწვდომია:
ქ. კახიძის ქ. 15, თბილისი, საქართველო, 0102, ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ. ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
<https://cryptome.org/2012/08/it>

-spy-law-2007.pdf, განახლებულია: 19.07.2024.

28 Australia, Intelligence Services Act 2001, Schedule 1 (part 3), ხელმისაწვდომია:
<https://tinyurl.com/yuz36cvf>, განახლებულია: 19.07.2024.

29 Winfred Steffani, **„A“** Verfahren und Wirkungen der parlamentarischen Kontrolle **„B“** in: Hans Peter Schneider, Wolfgang Zeh (Hrsg.), Parlamentsrecht und Parlamentspraxis in der Bundesrepublik Deutschland, ein Handbuch, Walter de Gruyter · Berlin, New York, 1989, 1327-1328.

30 Aron Buzogány, **„C“** hat Angst vor Abgeordnetenwatch? Repräsentation, Responsivität und Transparenzforderungen an Abgeordnete des Deutschen Bundestages **„D“** Zeitschrift für Vergleichende Politikwissenschaft, 2016, 67 **„E“** 79, 78, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/5c8zetau>, განახლებულია: 19.07.2024.

31 Thomas Saalfeld, **„F“** of parliament and governments in Western Europe: Agency relations and problems of oversight. **„G“** European Journal of Political Research, 3:353-376, 2000.6

32 თეოდორა ფუიორი, უსაფრთხოების სექტორის მართვის საპარლამენტო უფლებამოსილებები, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF), 2013, 24, ხელმისაწვდომია: <http://tinyurl.com/zdcpakb7>, განახლებულია : 19.07.2024.

33 Dick Toornstra (Publisher) and Marc Bantinck (Research and coordination) , Office for Promotion of Parliamentary Democracy, Parliamentary oversight of the security sector, Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces (DCAF), European Parliament - OPPT, 2013, 28, ხელმისაწვდომია: <http://tinyurl.com/5x39556b>, განახლებულია: 19.07.2024.

34 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 92-95.

35 Ibid, 99.

36 Kate Martin, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in United States, Annex A, 332-349, in: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი.

37 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 99; Law No. 2007-
1443 ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

of October 9, 2007 ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/4n7csm23>, განახლებულია : 19.07.2024.

38 პასუხები კითხვარზე უნგრეთის, იტალიის, სლოვაკეთისა და სლოვენიის პარლამენტებიდან, in: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 97.

39 Law No. 124 of 3 August 2007 XXXXXXXXXX System for the Security of the Republic and new Provisions governing Secrecy, p. 22-23, ხელმისაწვდომია: <https://cryptome.org/2012/08/it-spy-law-2007.pdf>, განახლებულია: 19.07.2024.

40 Hungary, Act No. CXXV of 1995, Section 14(1), ხელმისაწვდომია: <https://njt.hu/jogszabaly/en/1995-125-00-00>, განახლებულია: 19.07.2024.

41 კომიტეტის ფაქტობრივი შემადგენლობა, იხ. <https://tinyurl.com/7n5mt7wm>, განახლებულია: 19.07.2024.

42 კომისიის ფაქტობრივი შემადგენლობა, იხ. <https://tinyurl.com/yc6s34x4>, განახლებულია: 19.07.2024.

43 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 92-95.

44 Gábor Földváry, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in Hungary, 230-240; Federico Fabbrini & Tommaso F. Giupponi, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight of Security and Intelligence Agencies in Italy, 242-252. In: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 92- 95.

45 კონტროლის კომისიის რეგლამენტის პირველი პარაგრაფი, ხელმისაწვდომია: <https://tinyurl.com/3v2pc58y>, განახლებულია: 19.07.2024.

46 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 97.

47 CDL-AD(2007)016, para. 169; United Nations Human Rights Council 17 May 2010, Practice 7, 9, ხელმისაწვდომია:

<https://tinyurl.com/z9pauyxj>, განახლებულია: 19.07.2024.

48 Nick Verhoeven, Country Case Studies II. Parliamentary and Specialised Oversight

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



of Security and Intelligence Agencies in

Netherlands, 254-264. In: Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი , 100.

49 Germany, Parliamentary Control Panel Act (PKGrG), Section 11.

50 Aidan Wills and Mathias Vermeulen, დასახელებული ნაშრომი, 92-95.

51 თეოდორა ფუიორი, დასახელებული ნაშრომი, 25